საჯარო სამართლის იურიდიულიპირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობთი საბჭო

ქ. ბათუმი 13 ნოემბერი, 2020 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/05

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №04-01/15 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულებაში და დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]" ქვეპუნქტი:

„დ[1]) ფაკულტეტებისა და დარგობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი აკადემიური დატვირთვების იურიდიულად დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლი და დატვირთვის წლიური მოცულობის შესრულების მონიტორინგი;"

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი